საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 277-03
10/02/2021

„2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სამართლის სკოლაში გადასვლის (შიდა მობილობის) ვადების დამტკიცების შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 5 თებერვლის N250-03 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. შევიდეს დამატება „„2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სამართლის სკოლაში გადასვლის (შიდა მობილობის) ვადების დამტკიცების შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 5 თებერვლის N250-03 ბრძანებაში, კერძოდ დაემატოს 7^1 პუნქტი ქვემოთ მითითებულის შესაბამისად:

„7^1 . 2020-2021 სასწავლო წელს ჩარიცხულმა შიდა მობილობის მსურველმა პირებმა, რომლებიც შიდა მობილობას ახორციელებენ იმ პროგრამაზე, რომელიც მესამე ან/და მეოთხე საგნად ითხოვს, იმ საგნისგან განსხვავებული გამოცდის ჩაბარებას, რომლითაც ისინი ჩაირიცხნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, უნდა წარმოადგინონ ცნობა გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მიმღებ პროგრამაზე საჭირო მესამე ან/და მეოთხე გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ გამოცდებში მიღებული ნედლი ქულის მითითებით;"

2. სამართლის სკოლას დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;

4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ყველა შესაძლო საშუალებით;

5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს/სკოლებს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საგარეო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

გიგა ზედანია

რექტორი